

შპს დიოს დამფუძნებლებს**დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე****პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს დიოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს დიოს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 16 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2021 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების

აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს დიოსაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს დიოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს დიოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს დიოს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს დიოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს დიოს

ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს დიო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყოს, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835) სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,
ოთარ ახოზაძე
გარიგების პარტნიორი
ხელმოწერა

თარიღი 27.09.2023 წ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“



შპს დიო
ფინანსური ანგარიშგება
2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დიოს დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს დიოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს დიოს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 16 იანვარს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2021 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს დიოსაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს დიოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს დიოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს დიოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება

გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს დიოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს დიოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს დიო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა

კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრისათვის საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	3	14 739 086	14 562 010
გაყიდვების თვითღირებულება		(8 193 636)	(7 755 377)
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		145 186	578 499
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(8 333 875)	(8 333 875)
საერთო მოგება		6 545 450	6 806 634
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4	88 062	144 943
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		(3 138 743)	(2 693 462)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(206 491)	(328 191)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(10 000)	(10 000)
საკონსულტაციო ხარჯი		(9 806)	(8 950)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(49 552)	(48 848)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(5 021)	(3 318)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(188 912)	(176 591)
იჯარის ხარჯი		(78 520)	(82 258)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(470 695)	(384 390)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(455 438)	(423 572)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(504 560)	(311 342)
საოპერაციო მოგება		1 515 774	2 480 656
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		112 988	(38 546)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		1 130	(2 895)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		(175)	136 637
სხვა ფინანსური შემოსავალი		47 018	32 620
საპროცენტო ხარჯი		(52 277)	(172 152)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(20 321)	11 169
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 604 138	2 447 488
მოგების გადასახადის ხარჯი		(190 568)	(39 337)
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		1 413 570	2 408 152
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1 413 570	2 408 152

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღი 31,12,2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31,12,201	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 01,01,2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1 045 128	3 325 075	2 126 341
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	6	195 846	253 447	179 479
მოკლევადიანი მარაგები	7	3 929 017	3 783 830	3 205 332
გრძელვადიანი მარაგები	7	119 856	139 591	296 858
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	798 194	860 424	862 186
საინვესტიციო ქონება	8	1 013 023	1 021 896	1 018 549
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		777 000	777 000	777 000
სხვა საგადასახადო აქტივი				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		41 219	23 935	37 854
სხვა არამატერიალური აქტივები	10	80 624	90 003	96 642
ძირითადი საშუალებები	9	4 735 668	4 658 950	4 529 480
სულ აქტივები		12 735 575	14 934 150	13 129 719

ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	220 510	251 330	269 516
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		93 275	162 650	95 302
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	551 725	1 198 893	1 419 342
გადასახდელი დივიდენდები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		691 224	914 607	645 071
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები				
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		147 000	130 705	89 517
სულ ვალდებულებები		1 703 734	2 658 185	2 518 748

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	401 270	401 270	401 270
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		10 630 571	11 874 695	10 209 701
სულ საკუთარი კაპიტალი		11 031 841	12 275 965	10 610 971
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12 735 575	14 934 150	13 129 719

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	საანგარიშო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1 053 582)	1 764 027
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(465 757)	(520 026)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(647 343)	(83 813)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(2 166 959)	1 160 189
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(112 988)	38 546
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3 325 075	2 126 341
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 045 128	3 325 075

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შპს- ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	სულ საკუთარი კაპიტალი
--	---	--	---	--------------------------

ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	401,270	10 209 701		10 610 971
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი				
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი				
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	401,270	10 209 701	-	10 610 971

მოგება / (ზარალი)		2 408 152		2 408 152
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		2 408 152		2 408 152

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი				

საკუთარი აქციების:				
შესყიდვა				
გაყიდვა				
საწარმოთა გაერთიანება				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
დივიდენდის გამოცხადება		(743 158)		(743 158)
სხვა				
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2021	401,270	11 874 695	-	12 275 965
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი				
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის - 01/01/2021				

მოგება / (ზარალი)		1 413 570		1 413 570
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 413 570		1 413 570

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი				
საკუთარი აქციების:				
შესყიდვა				
გაყიდვა				
საწარმოთა გაერთიანება				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
დივიდენდის გამოცხადება		(2 657 695)		(2 657 695)
სხვა				
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის -31/12/2021	401,270	10 630 571		11 031 841

შპს დიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიო შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლის 13 მარტიდან. საზოგადოების მისამართი, და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი, ცინცაძის 79. მისი ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალით, აღნიშნული მასალის წარმოება და მის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

დაუშვილი ირმა - ფლობს საზოგადოების 46%

დაუშვილი თამაზი - ფლობს საზოგადოების 36%

დაუშვილი თამარი - ფლობს საზოგადოების 18%

კომპანიას გააჩნია საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობა (ბათუმი, ქუთაისი, თელავი) ფლობს შენობა ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების საქმიანობის განსახორციელებლად რეგიონებში.

2020 წელს საზოგადოების თანამშრომლთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 141 და 2021 წელს 165. ხოლო 2022 წელს 132.

საზოგადოების საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი აღმაშებლის ფარსადანის ქუჩა 3.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, მომზადებული გამოსაქვეყნებლად მესამედ.

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ასევე ფაქტები და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ თავისი საკუთარი ცოდნა.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირველადი ღირებულების საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა. ფინანსური ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსურ ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიღებული აქვს საქონლი ან მომსახურება (როდესაც შესაძლებელია მათი გაზომვა და შესაბამისად შეფასება). ამონაგების შეფასება ხდება ლარში, რომელიც მოიცავს ფასდათმობებს და საქართველოში გადასახადებელ გადასახადებს.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის (მომსახურების) მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ჩამოთვლილი პირობა:

- საზოგადოებამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- საზოგადოება არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებული მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის (მომსახურების) გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი საზოგადოებაში შემოვა;
- შესაძლებელია საქონლის (მომსახურების) გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2018 წლის დეკემბერში, კომპანია აწარმოე საქართველოში პროგრამის ფარგლებში თიბისი ბანკთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. სესხის მიზნობრიობად განისაზღვრა წარმოების გაფართოება, რაც გულისხმობდა ახალი საწარმოო შენობის აშენებას, ახალი მანქანა-დანადგარების და საწარმოო ინვენტარის შეძენას. სესხის დაფარვის ვადად განისაზღვრა მაქსიმუმ 84 თვე, მათ შორის 18 თვე წარმოადგენს საშელავათო პერიოდს, რა პერიოდშიც კომპანია იხდის მხოლოდ პროცენტს, ხოლო საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ კომპანია გადავიდა სესხის ძირის და პროცენტის ერთოდროულ გადახდის სქემაზე. ამავდროულად "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში, კომპანია პირველი 24 თვის განმავლობაში სარგებლობდა სესხის პროცენტის სუბსიდირების მომსახურებით, რაც შეადგენს საბანკო პროცენტიდან ნაწილს. აღნიშნული სუბსიდირებული თანხის ჩარიცხვა ხდებოდა კომპანიის ანგარიშზე ყოველთვიურად. სულ საერთო ჯამში აღებული იქნა 1 500 000 ლარი. 2019 წელს მიღებული იქნა სესხის დასაფარად სახელმწიფოსაგან 680 967 ლარი 2020 წელს 136 204 ლარი, 2021 წელს 142 969 ხოლო 2022 წელს 7226,2, რომლებიც ჩართული იქნა როგორც წმინდა შემოსავალი. საანგარშო პერიოდში მოხდა აღნიშნული სესხის ძირითადი ნაწილის ნაწილობრივი დაფარვა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარჩენილი იყო 551725

ლარი. ხოლო გადახდილმა პროცენტმა ამ ნაწილში შეადგინა 2020 წელს 185 490 ლარი. 2022 წელს შეადგინა 172 152 ლარი და 2022 წელს 52277 ლარი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად კომპანიები (გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილების დივიდენდის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაში შეწყდა გადავადებული მოგების გადასახადი აღრიცხვა, არსებული ვალდებულება აღიარდა კაპიტალში, ხოლო მომავალში მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოიშვება დივიდენდის განაწილებისას, აღიარდება იმ პერიოდის მოგება /ზარალში როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საანგარიშო პერიოდში მოხდა კანონმდებლობის შესაბამისად განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის დარიცხვა და მისი ასახვა ამ წლის მოგება/ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირება, რადგან საზოგადოების მმართველობას მიაჩნია რომ დაგროვებითი ცვეთით შემცირება რეალურად ასახავს საინვესტიციო ქონების ღირებულებას და მათი გადაფასება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და მისი გაწევა არამიზანშეწონილად იქნა მიჩნეული.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირებული აქტივის თვითღირებულები განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შედეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი

მომავალში თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულების თანხით. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა ძირითადი საშუალებების დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირება, რადგან საზოგადოების

მმართველობა მიაჩნია რომ დაგროვებითი ცვეთით შემცირება რეალურად ასახავს ძირითადი საშუალებების ნარჩენ ღირებულებას და მათი გადაფასება მიზანშეწონილი არ არის.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულების შემცირებული აქტივის თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასრგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შედეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 პროცენტი

სადემოსტაციო ექსპონატები - 20 პროცენტი

მომავალში თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფას, რომლებიც ასახულია დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით პროგრამულ უზრუნველყოფაზე წლიური 15 პროცენტის ვადით. თუ იარსებებს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების, არამატერიალური აქტივების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ, შეფასებული ანაზღურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდება აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურებული ზარალის აღდგენის თანხა დაუყონებლივ აღიარდება მოგება, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღიარება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდითა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდე გადაანგარიშდება ახლადმიღებული პარტიისათვის.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის, ძირითადი საშუალებების შენარჩუნებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულიში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგების სახით და საწესდებო კაპიტალის სახით, რომელიც შედგება დამფუძნებლების შენატანებით, რომელიც შექმნილი არის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კრედიტორებისათვის მეტი ნდობისათვის.

3. ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
საქონლის გაყიდვიდან	14 183 901	13 923 191
მომსახურების გაწევიდან	580 074	638 819
სულ	14 739 086	14 562 010

4. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

	2022 წელი	2021 წელი
--	-----------	-----------

იჯარიდან შემოსავლები	56 930	4 136
ნარჩენების რეალიზაცია	1 775	6 268
ანაზღაურებები სადაზღვევო კომპნიებიდან	7 539	11 963
ვალის პატიება	13 646	39 882
სხვა შემოსავლები	8 171	14 576
შელავათი საგადასახადოში	0	68 118
სულ	88 062	144 943

5. ფინანსური დანახარჯები

	2022 წელი	2021 წელი
ბანკის პროცენტი გრძელვადიან სასესხო ვალდებოლებზე	52 277	172 152
სულ	52 277	172 152

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წელი	2021 წელი
სავაჭრო დებიტორები	798 194	860 424
გადახდილი ავანსები	195 846	253 447
სულ	994 040	1 113 871

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი მარაგები	3 929 017	3 783 830
ნედლეული მასალები	3 805 011	3 671 331
მზა პროდუქცია	28 428	55 123
სხვა სარეალიზაციო პროდუქცია	95 578	57 376
გრძელვადიანი მარაგები	119 856	139 591
მცირეფასიანი ინვენტარი	87 240	109 538
სხვა გრძელვადიანი მარაგები	32 616	30 053
სხვა მოკლევადიანი აქტივები	41 219	23 935
საწვავი	29 904	23 935
სამშენებლო სარემონტო მასალები	11 315	0

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა ნაგებობები
თვითღირებულება	
1 იანვარი 2022 წელი	1 142 448
შემოსვლა	6 185
გასვლა	0
31 დეკემბერი 2022 წელი	1 148 633
დაგროვებითი ცვეთა	
1 იანვარი 2022 წელი	120 552
წლიური ცვეთა	15 058
31 დეკემბერი 2022 წელი	135 610
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022 წელი	1 013 023

ამონაგები საინვესტიციო ქონებიდან 2022 წელს შეადგინა 56 930 ლარი, იჯარით გაცემული ქონების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 297 148 ლარს.

9. ძირითადი საშუალებები

	სულ	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სხვა
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022 წელი	7 028 783	342 199	3 396 353	1 062 441	2 227 790
შემოსვლა	629 872	0	42 655	147 052	440 165
გასვლა	209 275				209 275
31 დეკემბერი 2022 წელი	7 449 380	342 199	3 439 008	1 209 494	2 458 680
დაგროვებული ცვეთა					
1 იანვარი 2022 წელი	2 369 833		753 541	576 946	1 039 347
წლიური ცვეთა	343 879		129 838	106 523	107 518
31 დეკემბერი 2022 წელი	2 713 712		883 378	683 469	1 146 865
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022 წელი	4 735 668	342 199	2 555 629	526 026	1 311 816

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუველყოფა
თვითღირებულება	
1 იანვარი 2022 წელი	161 917
შემოსვლა	3 651
გასვლა	
31 დეკემბერი 2022 წელი	165 568
დაგროვითი ცვეთა	
1 იანვარი 2022 წელი	71 914
წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციის ხარჯებში)	13 030
31 დეკემბერი 2022 წელი	84 944
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022 წელი	80 624

11. ბანკის სესხი

	2022 წელი	2021 წელი
გრძელვადიანი სესხი	551 725	1 198 892
მოკლევადიანი სესხი	0	0

2022 წელს საზოგადოების მიერ დამატებით სესხი არ აღებულა, ხდებოდა ძველი გრძელვადიანი სესხის მომსახურება, 2022 წელს დაიფარა 647 168 ლარი, შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკზე რიცხული არის 551 725 ლარის სასესხო ვალდებულება.

12. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები შეადგენდა 251 330 ლარს, 2022 წლის განმავლობაში სავაჭრო ვალდებულებები შემცირდა 30 820 ლარით და შეადგინა 220 510 ლარი.

13. საწესდებო კაპიტალი

საზოგადოებისას 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 401 270 ლარს, რომლიც შექმნილი არის საზოგადოების დამფუძნებელთა შენატანებით 2007 და 2008 წლებში, მისი შემცირება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში არ იგეგმება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 11 874 695 ლარს ხოლო 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 10 630 571 ლარი ანუ შემცირდა 1 244 125 ლარით.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მონაცემები მოცემულია ცხილის სახით.

	2022 წელი	2021 წელი
მოგება დაბეგვრამდე	1 604 138	2 447 488
ცვეთა	455 438	423 572
დარიცხული პროდენტი	5 259	139 533
შემოსავალი გრანტით	175	-136 637
ვალუტის კურსის მიღებული ზარალი	112 988	-38 546
ძირითადი საშუალებების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	-1 130	2 895
მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	2 176 867	2 838 306
დაბიტორული დავალიანების ზრდა	102 548	-58 417
სასაქონლო მატ ფასეულობების შემცირება	-125 452	-421 231
კრედიტორული დავალიანების ზრდა	-307 283	360 017
საოპერაციო საქმიანობის მიღებული სახსრები	1 846 680	2 718 674
გადახდილი პროცენტები	-52 277	-172 152
გადახდილილი მოგების გადასახადი	-190 568	-39 337
სხვა გადახდები	-2 657 695	-743 158
წმინსა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან	-1 053 860	1 764 027
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-513 905	-549 750
მანქანადანადგარებიდან მიღებული ფული	1 130	-2 895
მიღებული პროცენტი	47 018	32 620
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-465 757	-520 026
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი გრანტიდან	-175	136 637
გრძელვადიან სესხებზე გადახდილი ფული	-647 168	-220 449
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-647 343	-83 813
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა სახსრებზე	-112 988	38 546
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	3 325 075	2 126 341
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1 045 128	3 325 075

	2022 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული სალაროში	16 910	1 289 056
ფულადი სააქსები ბანკში	1 028 218	2 036 0183
სულ ფულადი სახსრები	1 045 128	3 325 075

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია საზოგადოების დამფუძნებელთა 2023 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით.

შ.პ.ს „დიო“

ს/კ 201946573

იურიდიული მისამართი: ს. ცინცაძის ქ.79



მოცემულ ანგარიშგებაში
წარმოდგენილია არაფინანსური
ინფორმაცია კომპანიის „დიო“ შესახებ,
სადაც ნაჩვენებია ინფორმაცია
როგორც მისი პროდუქციის, ასევე
დასაქმების, სოციალური და
ოპერაციული საქმიანობის კუთხით.

2022 წ

გენერალური დირექტორი _____


ხელმოწერა

თარიღი

სარჩევი

დამფუძნებლები პარტნიორები და საწესდებო კაპიტალი	3
კომპანია დიო - საქმიანობა და პროდუქცია	3
საქმიანობა.....	3
დღეს კომპანიის მფლობელობაშია:.....	4
პროდუქცია	4
მმართველი რგოლი	4
ორგანიზაციული სტრუქტურა / დაქვემდებარების სქემა.....	5
საოპერაციო გეგმები.....	6
ხარისხის პოლიტიკა.....	6
მისია.....	6
ხედვა	7
მიზანი	7
სტრატეგიული მიმართულებები პროდუქტის წარმოების და მომსახურების სფეროში	7
ხარისხის მართვის სისტემა - ISO 9001:2015	7
პროცესების მართვა და შესაბამისი დოკუმენტირებული ინფორმაცია	8
რისკების მართვა	8
მიდა აუდიტი.....	8
მომხმარებელთა გამოკითხვა.....	8
შრომის უსაფრთხოება.....	9
უსაფრთხო სამუშაო გარემო	9
მპს „დიო“-ს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა	10
მისია.....	10
ხედვა	10
მიზანი	10
დასახული მიზნის მიღწევისთვის კომპანია ვალდებულია იღებს:	10
გარემოსდაცვა და მწვანე გარემო	11
სოციალური პასუხისმგებლობა	11
სოციალური და დასაქმების საკითხები	13
დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ხანგრძლივობის მიხედვით.....	13
შრომის ანაზღაურება და კვალიფიკაციის ამაღლება	13
კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კომპანიაში გაარდა შემდეგი ღონისძიებები....	14
თანამშრომელთა ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან/დეკრეტული შვებულება.....	14
თანასწორობა და ინკლუზიური გარემო	14
გენდერული თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების პოლიტიკა.....	15
მარკეტინგული კამპანიები	16

კომპანია დიო-ბიზნესმოდელი



შპს „დიო“ დაარსდა 1996 წლის 13 მარტს. შეზღუდული პასუხისმგებლობის „დიო“-ს საწესდებო კაპიტალს შეადგენდა 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი.

დამფუძნებლები პარტნიორები და საწესდებო კაპიტალი

ირმა დაუშვილი - დამფუძნებელი (გენერალური დირექტორი) - საწესდებო კაპიტალი - 46%;

თამაზ დაუშვილი - თანადამფუძნებელი (ადმსრულებელი დირექტორი) - საწესდებო კაპიტალი - 36%;

თამარ დაუშვილი - თანადამფუძნებელი (ფინანსური დირექტორი) - საწესდებო კაპიტალი - 18%;

2022 წელს კომპანიის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა : 14 739 086 ლარს. სხვადასხვა მომსახურებიდან შემოსავალი 88 062 ლარი. საერთო მოგებამ შეადგინა 6 545 450 ლარი, ხოლო საოპერაციო მოგებამ 1 515 774 ლარი.

კომპანიის სამოქმედო ბაზარი საქართველოა (მისი აქტივებიც საქარველოშია). რამდენადაც, კომპანიას გააჩნია წარმოებული პროდუქტების და მომსახურების ფართო სპექტრი, ძირითადი კონკურენტული გარემო გამოიკვეთება ცალკეულ პროდუქტებზე და ბოლო პერიოდში კომპლექსურადაც.

კომპანიის ეფექტურ მუშაობაზე და ფინანსურ სტაბილურობაზე გავლენას ახდენს რისკები დაკავშირებული გლობალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან (კომპანია ახდენს ნედლეულის იმპორტს ძირითადად ევროპის ქვეყნებიდან), ადგილობრივ ბაზარზე ვალუტის მერყევ პოლიტიკასთან და ქვეყანაში არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოსთან.

კომპანია დიო - საქმიანობა და პროდუქცია

საქმიანობა

შ.პ.ს „დიო“(ს.კ 201946573) დაარსდა 1996 წელს და უკვე 27 წელია ოპერირებს ქართულ სამშენებლო ბაზარზე, იგი წარმოდგენილია პროდუქცის მარავალფეროვანი ასორტიმენტით, მათ შორისაა მეტალოპლასტამსისა და ალუმინის კარ-ფანჯარა, საჩრდილობელი სისტემები ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინისთვის, შემინვისა და სლაიდური სისტემები, გარაჟის კარი და პერგოლა.

კომპანია დიო მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსურ სერვისს როგორცაა საკონსულტაციო, აზომვითი და სამონტაჟო სამუშაოები, ამასთანავე პროდუქცია მზადდება ინდივიდუალური ზომების მიხედვით რაც ხაზს უსვამ ჩვენს პრინციპს -მაქსიმალური ორიენტირება მომხმარებელზე.

კომპანია დიო ფლობს 3 თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოს, მათ შორის ორი მდებარეობს თბილისში, ფარსადანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო 1 ქუთაისში, სადაც პირველად ქართულ ბაზარზე, იწარმოება პერგოლა.

დღეს კომპანიის მფლობელობაშია: 3 საწარმო, შოუ რუმი, 5 ფილიალი: თბილისი (დიდომი; საბურთალო), თელავი, ქუთაისი, ბათუმი და კარგად ორგანიზებული სადილერო ქსელი, რომლითაც მთელს საქართველოში ფართოდ არის წარმოდგენილი.

პროდუქცია

კომპანია დიო აწარმოებს 70-მდე დასახელების ინტერიერისა და ექსტერიერის პროდუქციას, ქვემოთ მოცემული მაღალ მოთხოვნის, ძირითადი პროდუქციის ჩამონათვალი:

ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები; ალუმინის ვიტრაჟული ტიხარი; პერგოლა; მემინვის სისტემები; ტენტი; ფარდები, ჟალუზები და როლეტები; საიზოლაციო ტიხარი; მინის მოძრავი გადახურვა; მინის მოაჯირი; ავტომატური კარის სისტემები; ჭერის ფარდა; მწერებისგან დამცავი ბადე; ფასადის საჩრდილობელი სისტემები; ქოლა; ჟალუზი სანრემო; გარედამცავი ჟალუზი; ინფრაწითელი გამათბობელი; ავტოფარეხის კარი; საჩრდილობელი იალქანი; ტექსტილის არქიტექტურა; ინდუსტრიული კარი; ჭიშკარი და ჭისკრის ძრავები.

მმართველი რგოლი

კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელის წევრებიც არიან

- გენერალური დირექტორი- ირმა დაუშვილი
- აღმასრულებელი დირექტორი-თამაზ დაუშვილი
- ფინანსური დირექტორი- თამარ დაუშვილი



ირმა დაუშვილი
დამფუძნებელი;
გენერალური დირექტორი






თამაზ დაუშვილი
თანადამფუძნებელი;
მმართველი პარტნიორი



თამარ დაუშვილი
თანადამფუძნებელი;
ფინანსური დირექტორი

ორგანიზაციული სტრუქტურა / დაქვემდებარების სქემა





საოპერაციო გეგმები

კომპანია „დიო“-ს სამომავლოდ სურს დანერგოს ინოვაციური პროდუქცია და გაზარდოს მომხმარებელთა სეგმენტი, ყველა ასაკისა და გემოვნების გათვალისწინებით. მისი საოპერაციო გეგმებია:

- ბრენდის იმიჯი- ცნობადობის გაზრდა- ამ მიზნით შეიქმნას ახალი მარკეტინგული კამპანიები;
- ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაუმჯობესება/ოპტიმიზაცია.

ხარისხის პოლიტიკა

მისია

ინოვაციური მიდგომით, უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქტის შექმნა, რომელიც ემსახურება მომხმარებლებისათვის კომფორტული, ეკოლოგიური და თანამედროვე გარემოს შექმნას საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში.

ხედა

მივიდეთ სასურველ მიზნამდე - შევქმნათ მაღალი ხარისხის, დახვეწილი დიზაინის მქონე პროდუქცია და შესაბამისი მომსახურება. ყოველდღიურად ვიზრუნოთ, როგორც მომხმარებლის, ისე კომპანიის პერსონალის კმაყოფილების ამაღლებაზე. თანამშრომლებს შევუქმნათ ჯანსაღი და კომფორტული სამუშაო გარემო.

მიზანი

„დიო“-ს მიზანია ჩამოაყალიბოს გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. კომპანია ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს ისეთი პროდუქტი/მომსახურება, რომელიც შეუქმნის გამორჩეულ გარემოს, მაქსიმალურ კომფორტს, ამავედროულად იქნება მაღალი ხარისხის და სრულიად გაითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტებს.

სტრატეგიული მიმართულებები პროდუქტის წარმოების და მომსახურების სფეროში

ხარისხის პოლიტიკის განხორციელებისთვის, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობისა და შედეგიანობის მუდმივი გაუმჯობესების გზით, კომპანიას განსაზღვრული აქვს შემდეგი სტრატეგიული ქმედებები:

- გაყიდვების ზრდა, პროდუქტსა და მომსახურებაზე სამართლიანი, კონკურენტუნარიანი ფასის დაწესებით;
- ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და მოლოდინების კვლევა/ანალიზი, სწორი სეგმენტირება და შესაბამისი პროდუქტის დროული შეთავაზება;
- მარკეტინგული აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;
- ხარისხიანი, ენერგო დამზოგავი, თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო მასალა-ნედლეულის გამოყენება;
- საწარმოო სიმძლავრეების ზრდა, ინოვაციური მიდგომა და ტექნოლოგიების ცვლილების საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა;
- გარე და შიდა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, ანალიზი და პრევენცია;
- მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და მათი კმაყოფილების კვლევების წარმოება;
- სასიამოვნო და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, პერსონალის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;
- სოციალურ აქტიურობებში ჩართულობა და სოციალური პარუნისმგებლობის ამაღლება.

ხარისხის მართვის სისტემა - ISO 9001:2015

კომპანიაში „დიო“ დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტურ დაგეგმვასა და მართვას, ცვლილებების საჭიროების დროულ იდენტიფიკაციასა, პროცესების ოპტიმიზაცია/გაუმჯობესებას და ამასთანავე მიზნად ისახავს მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურ უზრუნველყოფას.

პროცესების მართვა და შესაბამისი დოკუმენტირებული ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით ხელმძღვანელობის გარდა კომპანიაში შემუშავებულია შიდა პროცედურები და სამუშაო ინსტრუქციები, რომლებიც შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ამასთანავე მორგებულია სამუშაო სპეციფიკას. არსებული პროცედურები უზრუნველყოფენ დაკისრებული მოვალეობების / შესასრულებელი სამუშაოების სწორად წარმართვას, შესრულების ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავებას, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების (პოზიციების შესაბამისად) განსაზღვრას და მათზე პასუხისმგებლობების სწორ დელეგირებას.

რისკების მართვა

პროცესების ეფექტური მართვისთვის კომპანიას შემუშავებული აქვს რისკების მართვის სტრატეგია, რაც გულისხმობს დეპარტამენტების საქმიანობის მიხედვით ყველა შესაძლო საფრთხის გამოვლენას/იდენტიფიკაციას, მოხდენის ალბათობის შეფასებას და რისკის დონის განსაზღვრას, რისკის მატარებელი პირების გამოვლენას და პრევენციული ღონისძიებების/კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა/შემუშავებას

რისკების შეფასების დოკუმენტაცია მოიცავ შემდეგ მიმართულებებს:

- საერთო ორგანიზაციულ რისკებს;
- ფინანსურ რისკებს;
- გაყიდვებთან დაკავშირებულ რისკებს;
- შესყიდვებთან დაკავშირებულ რისკებს;
- წარმოების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს;
- სასაწყობო მეურნეობის მართვასთან დაკავშირებულ რისკებს;
- მარკეტინგულ რისკებს;
- ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ რისკებს;
- შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს;
- ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ რისკებს.

შიდა აუდიტი

კომპანიაში დანერგილია და მოქმედებს შიდა აუდიტის პროცედურები, რომლის მიზანიც არის კომპანიის საქმიანობაში არსებული შეუსაბამობების/ხარვეზების/გადაცდომების და პასუხისმგებელი პირების დროული იდენტიფიკაცია, პრევენციული/მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრა, კონტროლის მექანიზმის ამუშავება და პროცესების გაუმჯობესება. შიდა აუდიტის პროცესი იყოფა ორ ნაწილად გეგმიური შიდა აუდიტი, რომლის განრიგიც დგება/მტკიცდება წლის დასაწყისში და არაგეგმიური აუდიტი (საჭიროებისამებრ), რომლის ჩატარებაც ასევე შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იყოს გენერალური დირექტორის მიერ.

მომხმარებელთა გამოკითხვა

კომპანიაში წარმოებს მომხმარებელთა კმაყოფილების კოეფიციენტის დონის დადგენის მიზნით რამოდენიმე სახის გამოკითხვა, ესენია:

- მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა დასრულებული შეკვეთების მიხედვით, რომელიც მოიცავს გაყიდვების პროცესში ჩართული ყველა რგოლის/პირისა და პროდუქტის ხარისხის შეფასებას;
- შეკვეთის გაუქმების მიზეზების კვლევა;
- მომხმარებელთა გამოკითხვა დაფიქსირებული შეუსაბამობების მიხედვით

კვლევების მიზანია სამუშაო პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა, პერსონალის კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა და მომხმარებელთა მოთხოვნებისა და მოლოდინების გაგება/უზრუნველყოფა.

შრომის უსაფრთხოება

უსაფრთხო სამუშაო გარემო

კომპანია „დიო“-მ შრომის უსაფრთხოების კუთხით მიზნად დაისახა „ნულოვანი ინციდენტის“ პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რაც გულისხმობს ყველა შესაძლო საფრთხის წინასწარი იდენტიფიცირებისა და სწორი შეფასების გზით მოულოდნელი/წინასწარ განსაზღვრად შეუძლებელი საფრთხეების მოხდენის ალბათობის მინიმუმამდე შემცირებას. რის შედეგადაც დღეისათვის გვაქვს ნაკლები შეუსაბამობა და ბევრად უსაფრთხო გარემო.

დასახულ მიზნის შესარულებისთვის კომპანიის მხრიდან 2019 წლიდან გატარდა და დაინერგა შემდეგი ღონისძიებები:

- შემუშავდა შიდა პროცედურები კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
- შემუშავდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო პოლიტიკა და მონიტორინგის პროცედურები;
- შემუშავდა მანქანა-დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობის პროცედურა (70 დოკუმენტი), გაიწერა დანადგარების მოვლა-პატრონობის სპეციფიკა და პერიოდულობა.
- სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე და რისკის შემცველი პოზიციების მიხედვით შემუშავდა საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შეფასების სისტემა;
- გაიწერა ძირითადი რისკები, განისაზღვრა რისკის დონეები და შემუშავდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;
- საშუალო და მაღალი რისკის კონტროლის მიზნით, რისკის შეფასების პირველად დოკუმენტთან ერთად, შემუშავდა დამატებითი დოკუმენტი, რაც გულისხმობს რისკის ძირეულ შესწავლას, მის აღმოფხვრას / ჩანაცვლებას და სწორი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.
- შემუშავდა ინციდენტის მოკვლევის პროცედურა, სამუშაო ფორმა და ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალი, რაც გვეხმარება სისტემატიურად ვადევნოთ თვალი ინციდენტის გამომწვევ წყაროებს. ინციდენტების მუდმივი მონიტორინგი, მომენტალური მოკვლევა და აღრიცხვა კომპანიის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, მნიშვნელოვანია დროულად ვიცოდეთ და ვაკონტროლოთ სისუსტეები, რათა თავიდან ავიცილოთ არასასურველი ან/და ფატალური შედეგი.
- შემუშავდა საგანგებო ვითარებაში სამოქმედო პროცედურა/გეგმა, გამოიყო საგანგებო ვითარებაში თანამშრომლების მხრიდან სწორ რეაგირებაზე პასუხისმგებელი

პირები/კოორდინატორები, რომლებსაც ჩაუტარდათ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული სწავლება.

- ასევე სახანძრო და სხვა საფრთხეების მოხდენის შემთხვევაში გადამზადდა კადრები რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლების უსაფრთხო გაყვანას კომპანიიდან და ხანძრის ლიკვიდაციას;
- შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით პერსონალი მთლიანად აღიჭურვა ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით. თანამშრომლების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მომქმედი ფაქტორების შემცირების მიზნით დაიგეგმა კოლექტიური დამცავი საშუალებების დამატება.
- სამუშაო სივრცე (როგორც დახურული ისე ღია) აღიჭურვა უსაფრთხოებისთვის ყველა საჭირო ინვენტარით, ასევე საამქროების მიხედვით მოეწყო პირველადი დახმარების კუთხეები.
- თანამშრომლებს ჩაუტარდათ პირველადი დახმარების ტრენინგები;
- ყოველწლიურად, დამტკიცებული განრიგის მიხედვით ტარდება შიდა ტრენინგები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის სიმადლეზე მუშაობა, რისკების შეფასება, შრომის უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები, სახანძრო უსაფრთხოება, ერგონომიკა და ა.შ

შპს „დიო“-ს შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

მისია

კომპანიის მისიაა განავითაროს შრომის უსაფრთხოების სისტემა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ხელი შეუწყოს ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლებას.

ხედვა

კომპანიის ხედვაა შექმნას უსაფრთხო, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება თანასწორობასა და ანტიდისკრიმინაციული ფასეულობების დამკვიდრებაზე.

მიზანი

კომპანიის მიზანია ნულოვანი ინციდენტის პოლიტიკით უზრუნველყოს პროდუქციის წარმოება და მომხმარებლისთვის მიწოდება შრომის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით. აღმოფხვრას ან მინიმუმამდე დაიყვანოს როგორც დასაქმებულების, ისე სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკი.

დასახული მიზნის მიღწევისთვის კომპანია ვალდებულია იღებს:

- საქმიანობის განხორციელებისას პრიორიტეტული გახადოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები;
- გამოავლინოს კარგი საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკა ადამიანის უფლებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- ზედმიწევნით შეასრულოს როგორც საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, ასევე უსაფრთხოების შიდა წესდებითა და რეგულაციებით განსაზღვრული ნორმები;

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო, მომსახურებისა და წარმოების ყველა ეტაპზე;
- მუდმივად განახორციელოს საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება;
- ჩაანაცვლოს მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები ნაკლებად საფრთხის შემცველი ალტერნატივით;
- მუდმივად იზრუნოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათ ჩართულობაზე შრომის უსაფრთხოების საკითხებში;
- მუდმივად განახლოს/გააუმჯობესოს როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- უზრუნველყოს დასაქმებულებისთვის ყველა საჭირო ტრენინგის/ინსტრუქტაჟის ჩატარება.

გარემოსდაცვა და მწვანე გარემო

კომპანია დიო აწარმოებს ენერგო ეფექტურ კარ-ფანჯარას რაც თითქმის 70 % ით ამცირებს კომუნალურ გადასახადებს და შესაბამისად ნახშირორჟანგის მოხმარებას.

გარდა ამისა კომპანიაში დიო ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ნარჩენების შეგროვება, სელექცია და გადამუშავება ან/და უტილიზაცია დადგენილი წესის შესაბამისად:

- მაკულატურის შეგროვება/გადამუშავება;
- ალუმინის ნარჩენების შეგროვება/გაყიდვა-გადამუშავება;
- PVC ნარჩენების შეგროვება/გაყიდვა-გადამუშავება;
- ი.დ.ს/სამედიცინო ნარჩენების შეგროვება/უტილიზაცია;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება/უტილიზაცია.

სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანია „დიო“ პარტნიორ კომპანიებთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მდგრადი განვითარების ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნების ხელშეწყობისკენ:

- ქალთა/ბავშვთა ჯანმრთელობა(SDG:3)
- გენდერული თანასწორობა(SDG:5)
- ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა(SDG:8)
- სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა(SDG:1)
- ხარისხიანი განათლება(SDG:4)




ზემოაღნიშული მიზნების ხელშესაწყობად კომპანია დიო ახორციელებს შემდეგი ტიპის მხარდაჭერას:

- ფინანსური;
- ინფორმაციული ;
- მატერიალური - მხარდაჭერა უშუალოდ დიოს მიერ წარმოებული პროდუქტით;
- საგანმანათლებლო პროექტები.


ინფორმაციული მხარდაჭერა (2022)	ფინანსური მხარდაჭერა (2022)	მატერიალური მხარდაჭერა (2022)
• მენტორინგის პროგრამა; • შრომის უსაფრთხოების პროგრამა. • ქალთა გაძლიერების სამოქმედო გეგმა; • კამპანია „დიო“ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ	• სტიპენდიანტი „პირველ ნაბიჯში“ • „ბავშვთა ჰოსპისი, ციციანთელების ქვეყანა“ • საქართველოში მყოფი უკრაინელების მხარდაჭერა. • დაუნის სინდრომის ასოციაცია-კამპანია“ წინდა მიწდა“; • რამინი გობამის ბანაკში გამგზავრება.	• კარ-ფანჯარა-საქველმოქმედო ორგანიზაცია „მომავლის გზა“ • თოვლის ბაბუა პენიტენციულ დაწესებულებაში.
საგანმანათლებლო პროექტები (2022) • სკოლის ბავშვების ვიზიტი კომპანია „დიო“-ში. • „იცხოვრე ჯანსაღად, იზრუნე მომავალზე“ • „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის“ • ლიდერობისა და ემოციური ინტელექტის მასტერკლასი		

სოციალური და დასაქმების საკითხები

თანამშრომლები და მათთვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა კომპანიისთვის “დიო” წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს, შესაბამისად იგი მუდმივად ცდილობს სხვადასხვა სამოტივაციო კამპანიებით წახალისოს მათი მუშაობა, დიო მუდმივად ცდილობს გამოავლინოს ნიჭიერი თანამშრომლები და მისცეს მათ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. კომპანიაში მთლიანად დასაქმებული 132 თანამშრომელი მათ შორის 53 ქალი და 79 კაცი.



დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ხანგრძლივობის მიხედვით



კომპანიაში “დიო” დასაქმებულთა სამუშაო ხანგრძლივობა (2022 წლის მონაცემებით) გამოიყურება შემდეგნაირად

- 0-5 წლამდე - 74 თანამშრომელი
- 5-10 წლამდე - 27 თანამშრომელი
- 10-15 წლამდე - 19 თანამშრომელი
- 15-20 წლამდე - 7 თანამშრომელი
- 20 წელზე მეტია - 5 თანამშრომელი

შრომის ანაზღაურება და კვალიფიკაციის ამაღლება

ყველა დასაქმებულის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საშტატო განრიგით და საშტატო ერთეულების თანრიგობრივი სისტემის მიხედვით. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ხდება შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. კომპანია უზრუნველყოფს სქესთა შორის ხელფასების თანაბარ რანგირებას/მატებას და გამოორიცხავს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კომპანიაში გაარდა შემდეგი ღონისძიებები

- დაწინაურდა 4 პირი;
- მიღებულ იქნა 27 ახალი თანამშრომელი, მათ შორის 4 ახალ პოზიციაზე.
- 2022 წელს სწავლების უდიდესი ნაწილი მიმართული იყო ფინანსური აღრიცხვიანობის, მარკეტინგული აქტივობების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის მართვის, შიდა აუდიტის, შრომის უსაფრთხოების სფეროების გაუმჯობესებისკენ.
- 27 ახალი თანამშრომლისთვის ჩატარდა შიდა გადამზადების ტრენინგები.

თანამშრომელთა ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან/დეკრეტული შვებულება

ახალი თანამშრომლების ადაპტაციის მექანიზმი სამუშაო გარემოში შინა განაწესით რეგულირდება: ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და უშუალო ხელმძღვანელი ვალდებული არიან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ახალდასაქმებულს გააცნონ:

- ✓ კომპანიის შინაგანაწესი;
- ✓ ეთიკის კოდექსი;
- ✓ თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ✓ ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის პოლიტიკა;
- ✓ შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები;
- ✓ კომპანიაში მოქმედი სხვა რეგულაციები (პოზიციური საჭიროებიდან გამომდინარე);
- ამასთანავე ახალდასაქმებულ უტარდება:
- ✓ შიდა სწავლება;
- ✓ გაცნობითი შეხვედრები კომპანიის მენეჯმენტთან;
- ✓ გაცნობითი შეხვედრები დეპარტამენტი ხელმძღვანელებთან.

დეკრეტული შვებულების შემდგომი ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან შინაგანაწესით (მუხლი:33.5) რეგულირდება, რას გულისხმობს:

დეკრეტული შვებულების ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, მისი უშუალო ხელმძღვანელი შეიმუშავებს ადაპტაციის გეგმას, მისთვის შესაბამის სამუშაო გრაფიკს.

ძუძუთი კვების შემთხვევაში კი თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი შესვენების დროს ან/და შემოკლებულ სამუშაო დღე.

თანასწორობა და ინკლუზიური გარემო

კომპანია "დიო" -თვის პრიორიტეტულია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა. სწორედ ამიტომ, კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს ადგილზე კვებით, ტრანსპორტირებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევით.

ამასთანავე:

- კომპანიას აქვს შიდა და გარე ტრენინგების გამოცდილება;

- შემუშავებულია სექსუალური შევიწროების პოლიტიკა ანონიმური შეტყობინების მეშვეობით თანამშრომელს აქვს საშუალება დააფიქსიროს შევიწროების ფაქტი;
- კომპანია იზიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და ამ მიმართულებით თანამშრომლებთან ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს. რეგულაციის დონეზე კი გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა გაწერილია კომპანიის ეთიკის კოდექსსა და შრომის შინაგანაწესში: მუხლი 6.2. კომპანიის თანამშრომლად შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება. კომპანიაში თანამშრომლების მიღება ხდება კონკურსის წესით, შერჩევისას გამოიყენება მხოლოდ პროფესიული კომპეტენციებისა და სამუშაოსთან რელევანტური უნარ-ჩვევების შეფასება. კონკურსის ყველა ეტაპზე ორგანიზაცია გამორიცხავს სამსახურის მაძიებლის მიმართ პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას სქესის, ქორწინების სტატუსის, ორსულობის, ეთნიკური წარმომავლობის, მუშაუდელი შესაძლებლობების, ასაკის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, რასის და ეროვნების, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების და სხვა მახასიათებლების გამო.
- ამასთანავე კომპანიის ყველა განაცხადში აღნიშნულია რომ ვაკანსია ღიაა შშმ პირებისთვის;
- გუნდის შეკვრის მიზნით "დიო" ყოველწლიურად ატარებდა კორპორატიულ სადამოს, თუმცა პანდემიური მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინების გამო გამოყოფილი ბიუჯეტი მოხმარდება პროფესიული ხასიათის გადამზადებებსა და ტრენინგების.

გენდერული თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების პოლიტიკა

კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა იზიარებს და აცნობიერებს, რომ წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია სოციალური და ეკონომიკური აქტივის სრულად გამოყენება. გენდერული თანასწორობა ხელს უწყობს ბიზნესის უკეთ ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს კერძო და საერთო ინტერესების თანხვედრას, ვინაიდან ქალთა ჩართულობა აძლიერებს განვითარების პროცესებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

“დიო” მიზნად ისახავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და გაეროს გლობალური შეთანხმების (UNGC) ქალთა გაძლიერების პრინციპების იმპლემენტაციას კომპანიაში, საბაზრო ურთიერთობებსა და საზოგადოებაში.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად ორგანიზაციას დასახული აქვს მიზნები, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე გენდერული თანასწორობის ზოგადი პრინციპების განსაზღვრას, ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების გატარებას, მათი თავიდან აცილების მიზნით, დასაქმებულთა სწავლებას, ცნობიერების ამაღლებას გენდერულ საკითხებში, მათ ჩართულობას თანასწორობის დაცვის საკითხებში.

დიოს მენეჯმენტი წაახალისებს გენდერულ თანასწორობას და ატარებს გენდერულ ჭრილში დისკრიმინაციული მიდგომების პრევენციას, საჩვრების მექანიზმის დანერგვით.

ზრუნავს თანამშრომელთა შორის ცნობიერების ამაღლებაზე გენდერული თანასწორობის ჭრილში, შესაბამისი სწავლებების ჩატარებით.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და სამუშაოზე სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ქალებს უფლებების დაცვაზე, მათ მხარდაჭერაზე ..



დიოს უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა დასაქმებული ქალისა და კაცის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კომპანიის ბენეფიტებზე და განვითარების შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალადობისაგან, დისკრიმინაციისგან და შევიწროებისგან თავისუფალი, სამართლიანი სამუშაო გარემოს შექმნა.

მარკეტინგული კამპანიები

2022 წელს მარკეტინგის განყოფილებამ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო კამპანია, რომლის შედეგადაც ბევრ მომხმარებელს მივაწვდინეთ ხმა შეთავაზებების შესახებ და გავუწიეთ მომსახურება:

- აქტიური სმს მარკეტინგი
- სატელევიზიო & რადიო რეკლამები კამპანიების მიხედვით
- განახლებული ციფრული სტრატეგია
- სტამბა, ბეჭდვა & ბრენდირება (დეპარტამენტებზე აბრები და სხვა შიდა საკითხები)
- ვიდეო კამპანიები - ახალი პროექტი დიოსია & ჩვენავირჩიეთ დიო
- ექსპლოატაციის წესები
- გლდანის კოლეჯის მარკეტინგულად მოწყობა
- დიოს შენობაზე ლოგოს განახლება/ ქუთაისისა და თელავის ფილიალის გარე ბანერი / ვიტრაჟის მარკეტინგული მოწესრიგება
- ღონისძიებები 3 - უკრაინელი მოქალაქეების მხარდასაჭერად
- Batumi Build 2022-ში მონაწილეობა
- ოთხი სახეობის ქალუზების განახლებული ქსოვილების კატალოგების ახალი კონცეფცია (ზებრა, როლეტი, ვერტიკალური, ჰორიზონტალური)
- სამშენებლო გამოფენა Caucasus Build 2022-ის მონაწილე დიო
- მინი კატალოგი - ააშენე დიოსთან ერთად
- ღონისძიებები:
 1. ლიდერშიფი EBA მემორანდუმის ფარგლებში
 2. ტრეიდ შოუ-EBA - „დიო“ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს ფორუმის მონაწილეა!
- კორპორატიული საჩუქრები, ახალი წლის ციფრული საკითხები
- სხვადასხვა ტიპის ლოალობის აქციებით კი გავანებივრეთ მომხმარებლები.
- ახალი ავტომობილების ტოტალური ბრენდირება.

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრისათვის საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ამონაგები	3	14 739 086	14 562 010
გაყიდვების თვითღირებულება		(8 193 636)	(7 755 377)
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		145 186	578 499
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(8 333 875)	(8 333 875)
საერთო მოგება		6 545 450	6 806 634
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4	88 062	144 943
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		(3 138 743)	(2 693 462)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(206 491)	(328 191)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(10 000)	(10 000)
საკონსულტაციო ხარჯი		(9 806)	(8 950)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(49 552)	(48 848)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(5 021)	(3 318)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(188 912)	(176 591)
იჯარის ხარჯი		(78 520)	(82 258)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(470 695)	(384 390)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(455 438)	(423 572)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(504 560)	(311 342)
საოპერაციო მოგება		1 515 774	2 480 656
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		112 988	(38 546)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		1 130	(2 895)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		(175)	136 637
სხვა ფინანსური შემოსავალი		47 018	32 620
საპროცენტო ხარჯი		(52 277)	(172 152)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(20 321)	11 169
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 604 138	2 447 488
მოგების გადასახადის ხარჯი		(190 568)	(39 337)
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		1 413 570	2 408 152
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1 413 570	2 408 152

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი



შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღი 31,12,2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31,12,201	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 01,01,2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1 045 128	3 325 075	2 126 341
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	6	195 846	253 447	179 479
მოკლევადიანი მარაგები	7	3 929 017	3 783 830	3 205 332
გრძელვადიანი მარაგები	7	119 856	139 591	296 858
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	798 194	860 424	862 186
საინვესტიციო ქონება	8	1 013 023	1 021 896	1 018 549
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		777 000	777 000	777 000
სხვა საგადასახადო აქტივი				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		41 219	23 935	37 854
სხვა არამატერიალური აქტივები	10	80 624	90 003	96 642
ძირითადი საშუალებები	9	4 735 668	4 658 950	4 529 480
სულ აქტივები		12 735 575	14 934 150	13 129 719

ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	220 510	251 330	269 516
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		93 275	162 650	95 302
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	551 725	1 198 893	1 419 342
გადასახდელი დივიდენდები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		691 224	914 607	645 071
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები				
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		147 000	130 705	89 517
სულ ვალდებულებები		1 703 734	2 658 185	2 518 748

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	401 270	401 270	401 270
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		10 630 571	11 874 695	10 209 701
სულ საკუთარი კაპიტალი		11 031 841	12 275 965	10 610 971
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12 735 575	14 934 150	13 129 719

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი



შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	საანგარიშო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1 053 582)	1 764 027
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(465 757)	(520 026)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(647 343)	(83 813)
	(2 166 959)	1 160 189
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(112 988)	38 546
	3 325 075	2 126 341
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 045 128	3 325 075
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :



თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

შპს დიო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი (შპს- ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	სულ საკუთარი კაპიტალი
--	---	--	---	--------------------------

ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	401,270	10 209 701		10 610 971
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი				
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი				
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2020	401,270	10 209 701	-	10 610 971

მოგება / (ზარალი)		2 408 152		2 408 152
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		2 408 152		2 408 152

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი				

საკუთარი აქციების:				
შესყიდვა				
გაყიდვა				
საწარმოთა გაერთიანება				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
დივიდენდის გამოცხადება		(743 158)		(743 158)
სხვა				

ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 31/12/2021	401,270	11 874 695	-	12 275 965
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი				
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის - 01/01/2021				

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :



თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

Handwritten signature in blue ink.

მოგება / (ზარალი)		1 413 570		1 413 570
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1 413 570		1 413 570
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი				
საკუთარი აქციების:				
შესყიდვა				
გაყიდვა				
საწარმოთა გაერთიანება				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
დივიდენდის გამოცხადება		(2 657 695)		(2 657 695)
სხვა				
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის -31/12/2021	401,270	10 630 571		11 031 841

აღმასრულებელი დირექტორი:

თამაზ დაუშვილი

ფინანსური დირექტორის:

თამარ დაუშვილი



[Handwritten signature]

[Handwritten signature]

ღირებულებებისა და ზღვრების საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდითა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდე გადაანგარიშდება ახლადმიღებული პარტიისათვის.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის, ძირითადი საშუალებების შენარჩუნებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. მხოლოდ ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულიში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი ფორმირებულია გაუნაწილებელი მოგების სახით და საწესდებო კაპიტალის სახით, რომლიც შედგება დამფუძნებლების შენატანებით, რომელიც შექმნილი არის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კრედიტორებისათვის მეტი ნდობისათვის.

3. ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
საქონლის გაყიდვიდან	14 183 901	13 923 191
მომსახურების გაწევიდან	580 074	638 819
სულ	14 739 086	14 562 010

4. სხვა საოპერაციო შემოსავალი:

	2022 წელი	2021 წელი
იჯარიდან შემოსავლები	56 930	4 136
ნარჩენების რეალიზაცია	1 775	6 268
ანაზღაურებები სადაზღვევო კომპანიებიდან	7 539	11 963

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :



თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

Handwritten signature in blue ink.

ვალის პატიება	13 646	39 882
სხვა შემოსავლები	8 171	14 576
შელავთი საგადასახადოში	0	68 118
სულ	88 062	144 943

5. ფინანსური დანახარჯები

	2022 წელი	2021 წელი
ბანკის პროცენტი გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებზე	52 277	172 152
სულ	52 277	172 152

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წელი	2021 წელი
სავაჭრო დებიტორები	798 194	860 424
გადახდილი ავანსები	195 846	253 447
სულ	994 040	1 113 871

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2022 წელი	2021 წელი
მოკლევადიანი მარაგები	3 929 017	3 783 830
ნედლეული მასალები	3 805 011	3 671 331
მზა პროდუქცია	28 428	55 123
სხვა სარეალიზაციო პროდუქცია	95 578	57 376
გრძელვადიანი მარაგები	119 856	139 591
მცირეფასიანი ინვენტარი	87 240	109 538
სხვა გრძელვადიანი მარაგები	32 616	30 053
სხვა მოკლევადიანი აქტივები	41 219	23 935
საწვავი	29 904	23 935
სამშენებლო სარემონტო მასალები	11 315	0

აღმასრულებელი დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

ფინანსური დირექტორის :

თამარ დაუშვილი



(Handwritten signatures in blue ink)

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა ნაგებობები
თვითღირებულება	
1 იანვარი 2022 წელი	1 142 448
შემოსვლა	6 185
გასვლა	0
31 დეკემბერი 2022 წელი	1 148 633
დაგროვებითი ცვეთა	
1 იანვარი 2022 წელი	120 552
წლიური ცვეთა	15 058
31 დეკემბერი 2022 წელი	135 610
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022 წელი	1 013 023

ამონაგები საინვესტიციო ქონებიდან 2022 წელს შეადგინა 56 930 ლარი, იჯარით გაცემული ქონების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 297 148 ლარს.

9. ძირითადი საშუალებები

	სულ	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სხვა
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022 წელი	7 028 783	342 199	3 396 353	1 062 441	2 227 790
შემოსვლა	629 872	0	42 655	147 052	440 165
გასვლა	209 275				209 275
31 დეკემბერი 2022 წელი	7 449 380	342 199	3 439 008	1 209 494	2 458 680
დაგროვებული ცვეთა					
1 იანვარი 2022 წელი	2 369 833		753 541	576 946	1 039 347
წლიური ცვეთა	343 879		129 838	106 523	107 518
31 დეკემბერი 2022 წელი	2 713 712		883 378	683 469	1 146 865
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022 წელი	4 735 668	342 199	2 555 629	526 026	1 311 816

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი



[Handwritten signature]

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუველყოფა
თვითღირებულება	
1 იანვარი 2022 წელი	161 917
შემოსვლა	3 651
გასვლა	
31 დეკემბერი 2022 წელი	165 568
დაგროვითი ცვეთა	
1 იანვარი 2022 წელი	71 914
წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციის ხარჯებში)	13 030
31 დეკემბერი 2022 წელი	84 944
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022 წელი	80 624

11. ბანკის სესხი

	2022 წელი	2021 წელი
გრძელვადიანი სესხი	551 725	1 198 892
მოკლევადიანი სესხი	0	0

2022 წელს საზოგადოების მიერ დამატებით სესხი არ აღებულა, ხდებოდა ძველი გრძელვადიანი სესხის მომსახურება, 2022 წელს დაიფარა 647 168 ლარი, შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკზე რიცხული არის 551 725 ლარის სასესხო ვალდებულება.

12. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები შეადგენდა 251 330 ლარს, 2022 წლის განმავლობაში სავაჭრო ვალდებულებები შემცირდა 30 820 ლარით და შეადგინა 220 510 ლარი.

13. საწესდებო კაპიტალი

საზოგადოებისას 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 401 270 ლარს, რომლიც შექმნილი არის საზოგადოების დამფუძნებელთა შენატანებით 2007 და 2008 წლებში, მისი შემცირება უახლოესი ერთი წლის განმავლობაში არ იგეგმება.

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :



თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მონაცემები მოცემულია ცხილის სახით.

	2022 წელი	2021 წელი
მოგება დაბეგრამდე	1 604 138	2 447 488
ცვეთა	455 438	423 572
დარიცხული პროდენტი	5 259	139 533
შემოსავალი გრანტით	175	-136 637
ვალუტის კურსის მიღებული ზარალი	112 988	-38 546
ძირითადი საშუალებების გაყიდვებიდან მიღებული მოგება	-1 130	2 895
მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	2 176 867	2 838 306
დაბიტორული დავალიანების ზრდა	102 548	-58 417
სასაქონლო მატ ფასეულობების შემცირება	-125 452	-421 231
კრედიტორული დავალიანების ზრდა	-307 283	360 017
საოპერაციო საქმიანობის მიღებული სახსრები	1 846 680	2 718 674
გადახდილი პროცენტები	-52 277	-172 152
გადახდილილი მოგების გადასახადი	-190 568	-39 337
სხვა გადახდები	-2 657 695	-743 158
წმინსა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან	-1 053 860	1 764 027
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-513 905	-549 750
მანქანადანადგარებიდან მიღებული ფული	1 130	-2 895
მიღებული პროცენტი	47 018	32 620
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-465 757	-520 026
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსულობანი გრანტიდან	-175	136 637
გრძელვადიან სესხებზე გადახდილი ფული	-647 168	-220 449
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-647 343	-83 813
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა სახსრებზე	-112 988	38 546
ფულადი სახსრების საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	3 325 075	2 126 341
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1 045 128	3 325 075

	2022 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული სალაროში	16 910	1 289 056
ფულადი სააგსები ბანკში	1 028 218	2 036 0183
სულ ფულადი სახსრები	1 045 128	3 325 075

აღმასრულებელი დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

ფინანსური დირექტორი :

თამარ დაუშვილი



Handwritten signature and initials in blue ink.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაქვეყნებლად
ნებადართულია საზოგადოების დამფუძნებელთა 2023 წლის 25 სექტემბრის
გადაწყვეტილებით.

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :



თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

Handwritten signature in blue ink.

დიოს უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა დასაქმებული ქალისა და კაცის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და კომპანიის ბენეფიტებზე და განვითარების შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალადობისაგან დისკრიმინაციისგან და შევიწროებისგან თავისუფალი, სამართლიანი სამუშაო გარემოს შექმნა.

მარკეტინგული კამპანიები

2022 წელს მარკეტინგის განყოფილებამ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო კამპანია, რომლის შედეგადაც ბევრ მომხმარებელს მივაწვდინეთ ხმა შეთავაზებების შესახებ და გავუწიეთ მომსახურება:

- აქტიური სმს მარკეტინგი
- სატელევიზიო & რადიო რეკლამები კამპანიების მიხედვით
- განახლებული ციფრული სტრატეგია
- სტამბა, ბეჭდვა & ბრენდირება (დეპარტამენტებზე აბრები და სხვა შიდა საკითხები)
- ვიდეო კამპანიები - ახალი პროექტი დიოსია & ჩვენავირჩიეთ დიო
- ექსპლოატაციის წესები
- გლდანის კოლეჯის მარკეტინგულად მოწყობა
- დიოს შენობაზე ლოგოს განახლება/ ქუთაისისა და თელავის ფილიალის გარე ბანერი
- ვიტრაჟის მარკეტინგული მოწესრიგება
- ღონისძიებები 3 - უკრაინელი მოქალაქეების მხარდასაჭერად
- Batumi Build 2022-ში მონაწილეობა
- ოთხი სახეობის ჟალუზების განახლებული ქსოვილების კატალოგების ახალი კონცეფცია (ზებრა, როლეტი, ვერტიკალური, ჰორიზონტალური)
- სამშენებლო გამოფენა Caucasus Build 2022-ის მონაწილე დიო
- მინი კატალოგი - ააშენე დიოსთან ერთად
- ღონისძიებები:
 1. ლიდერშიფი EBA მემორანდუმის ფარგლებში
 2. ტრეიდ შოუ-EBA - „დიო“ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს ფორუმის მონაწილეა!
- კორპორატიული საჩუქრები, ახალი წლის ციფრული საკითხები
- სხვადასხვა ტიპის ლოალობის აქციებით კი გავანებივრეთ მომხმარებლები.
- ახალი ავტომობილების ტოტალური ბრენდირება.

აღმასრულებელი დირექტორი :

ფინანსური დირექტორი :

თამაზ დაუშვილი

თამარ დაუშვილი

